ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

ო ქ მ ი N1

ქ. ამბროლაური **01 მარტი 2024 წელი**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქევანაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მარიკა დვალი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი ბეჟან კობახიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გოძიაშვილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ დალაქიშვილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ჭელიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ ჩიტალაძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური განყოფილების ხელმძღვანელი მარინა ვაჩაძე, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი მირანდა ჯაფარიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელის დამატებითი ფუნქციის შემსრულებელი ივანე ცაგურიშვილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ალეკო ქურციკიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დამატებითი ფუნქციის შემსრულებელი ირმა ფრუიძე,
სხდომას ესწრებოდა 11 წევრი და უფლებამოსილია წარმართოს თავისი საქმიანობა.

დღის წესრიგი

1.მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.

მოისმინეს : ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ქევანაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, კერძოდ, 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები.
აზრი გამოთქვეს: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დვალმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია შშმ პირთა მიმართებაში არსებული მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ჩატარდა წინასწარი მოკვლევა შშმ პირებთან, მათი ოჯახის წევრებთან და შესაბამის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, შემდგომში განსახორციელებელი აქტივობების თაობაზე.

საბჭოს წევრებმა: ალეკო ქურციკიძემ, ბეჟან კობახიძემ, მარინა ვაჩაძემ, ირმა ფრუიძემ დადებითად შეაფასეს დღეის მდგომარეობით შშმ პირთა მიმართებაში გატარებული ღონისძიებები და განსახორციელებელი აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი

მომხრე 11 - წინააღმდეგი 0

დაადგინა:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა (ოქმზე დართული დანართის შესაბამისად).

შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების, საზოგადოებრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაზრდისა და შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერების მიზნით ,ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებები:

1. შშმ პირებისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება და სპეციალური (საპარკინგე) ადგილების მოწყობა;
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდის შშმ პირებისთვის ადაპტირება
3. შშმ პირების ნამუშევრების გამოფენის მოწყობის ორგანიზება იმ შშმ პირებისთვის, რომლებიც ეწევიან შემოქმედებით საქმიანობას (ხატვა, ქარგვა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება და სხვა)
4. შშმ პირებისთვის საჭირო სპეციალური წიგნების, სამაგიდო თამაშებისა და საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ტექნიკის/მოწყობილობის შეძენა (სადმელის მრავალფუნქციური ცენტრი, დღის ცენტრი ,,ბაო“)
5. შშმ პირთა და მათ მშობელთა პროფესიული გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება (კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი, ინგლისური ენის კურსი და სხვა...)
6. შშმ პირების ჩართულობით სახალისო აქტივობის განხორციელება ,,მოდი ვითამაშოთ ერთად“
7. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება და ერთიანი ბაზის ფორმირება
8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალური პროგრამების განხორციელება
9. პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული გაწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან მათი წარმომადგენელთა ჩართვა მუნიციპალიტეტში მოქმედი სამუშაო ჯგუფების და საბჭოების მუშაობაში
11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაში/სტაჟირებაში ხელშეწყობა
12. მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა საკითხებზე
13. შშმ პირთა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებისა და სასწავლო ღონისძიებების მოწყობა
14. შშმ პირებთან მომუშავე და უშუალო კონტაქტში მყოფი პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა გადაეგზავნოს მერს და ეთხოვოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში შშმ პირების წარმომადგენლების დამატებისათვის საჭირო პროცედურების დაწყება.

საბჭოს თავმჯდომარე:	თამარ ქევანაშვილი
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	მარიკა დვალი
საბჭოს მდივანი	მარინა ვაჩაძე
კომისიის წევრები:	ბეჟან კობახიძე
	ირმა ფრუიძე
	გიორგი გოძიაშვილი
	მიხეილ დალაქიშვილი

ალეკო ქურციკიძე

მერაბ ჩიტალაძე

სოსო ჭელიძე

მირანდა ჯაფარიძე

ივანე ცაგურიშვილი